სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

საოქმო დადგენილება #24/19

თბილისი 2021 წლის 12 ივნისი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 11 ივნისის N 11 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, ბათილად იქნეს ცნობილი „სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის N 24/18 საოქმო დადგენილების ნაწილი, კერძოდ:

1.ბათილად გამოცხადდეს კონკურსი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტში შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) დეპარტამენტის პროფესორი- 1 საშტატო ერთეული;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული.

2. გაუგრძელდეთ უფლებამოსილება გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორებს ლ.ბაქრაძესა და მ.ციმაკურიძეს ერთი წლის ვადით.

3. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი